N	სახელმძღვანელო	შიდა გვერდების სავარაუდო რაოდენობა *	პარამეტრები (სავალდებულოა სამივე ვერსიის სახელმძღვანელოსთვის)	რაოდენობა (ცალი)
1	რუსულენოვანი ვერსია	200 გვერდი	**1. ფორმატი:** 25სმx20სმ **2. შიგთავსის ქაღალდი:** 100 გრ. ე.წ. აივორის ქაღალდი (კრემისფერი); **3. შიგთავსის ბეჭდვა:** CMYK (4+4); **4. ყდის ქაღალდი:** 300 გრ. ე.წ. ბრისტოლის ქაღალდი, გარეკანზე გრავირება კლიშეთი. **5. ყდის ბეჭდვა:** CMYK (4+0) **6. ყდის ლამინაცია:** გლუვი ლამინაცია ან სპარკლის ლამინაცია (მიმწოდებელს ეცნობება ხელშეკრულების გაფორმების დროს); **7. აკინძვა:** თერმული + შეკერვა	500
2	აზერბაიჯანულენოვანი ვერსია	180 გვერდი		500
3	სომხურენოვანი ვერსია	180 გვერდი		500

დიზაინი	მიმწოდებელს შემსყიდველის მიერ გადაეცემა სახელმძღვანელოს რუსული, სომხური და აზერბაიჯანული ვერსიები ვორდის ფაილების სახით. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თითოეული ვერსიის დაკაბადონება, დიზაინის შემუშავება, არსებული ილუსტრაციების შესაბამისად დამუშავება (შემსყიდველთან შეთანხმებით) და საბეჭდი ფაილის ოფსეტური ბეჭდვისათვის ვარგისი ელექტრონული მაკეტის მომზადება (მიმწოდებელს ნიმუშის სახით გადაეცემა ასევე სახელმძღვანელოს ქართულენოვანი დაბეჭდილი ვერსია). სახელმძღვანელოების შიდა გვერდების სავარაუდო რაოდენობა შეიცვლება და საბოლოოდ დაზუსტდება მიმწოდებლის მიერ დაკაბადონებისა და დიზაინის შემუშავების საფუძველზე.
მიწოდების ვადა	• შემსყიდველის მიერ განსაზღვრული გვერდების საცდელი ანაბეჭდების წარმოდგენა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში; • სახელმძღვანელოს დაბეჭდვა - საცდელი ანაბეჭდების შემსყიდველის მიერ დადასტურებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
მიწოდების ადგილი	ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ. N4.
მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ	• მიმდინარე ტენდერში, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღეში ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ტენდერით დადგენილი პარამეტრების შესაბამისად დაბეჭდილი ერთი ან რამდენიმე წიგნი. ტენდერით დადგენილ პარამეტრებში იგულისხმება, რომ წარმოდგენილ ნიმუშ(ებ)ში გამოყენებული უნდა იყოს მიმდინარე ტენდერით მოთხოვნილი **შიგთავსის ქაღალდი, ბეჭდვის ტიპი, ყდის ქაღალდი, გრავირება კლიშეთი, გლუვი ლამინაცია, სპარკლის ლამინაცია, თერმული+ შეკერვით აკინძვა**. • მიმწოდებლის მიერ შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას ხარისხის დამადასტურებელი ISO9001 სერთიფიკატი, ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანით.